ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა 70-ე საუნივერსიტეტო სამეცნერო კონფერენციის ორგანიზების წესი

- სტუდენტთა 70-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება.

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.

- ფაკულტეტის დეკანი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სათანადო სექციების მიხედვით.

- ფაკულტეტის დეკანატი კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამას **(A5 ფორმატი, Microsoft Word, შრიფტი _ ლიტ. ნუსხური, შრიფტის ზომა – 10)** წარადგენს თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში 2010 წლის 23 აპრილამდე. კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
    1. ფაკულტეტის დასახელება;
    2. სექციების დასახელება;
    3. თითოეული სექციის ჟიურის შემადგენლობა წევრების აკადემიური თანამდებობის მითითებით;
    4. კონფერენციის სამუშაო გეგმა (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, კორპუსი, აუდიტორია);
    5. მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი;
    6. მოხსენების სრული დასახელება;
    7. სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი.

- სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.

- საუნივერსიტეტო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის დადებითი რეცენზია.

- ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.

- სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.

- კონფერენციის დასრულებისას ჟიური აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს.

- ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტების შედეგები დეკანატებმა უნდა წარადგინონ თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში, კონფერენციის ჩატარებიდან არაუგვიანეს ორ დღეში.

- კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვება მოხდება თსუ-ის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.

- კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტთა შრომების კრებულში.